



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გეიბა

გეიბა (გეიბა, ქაიბა), ფეოდალური საგვარეულო აფხაზეთის ჩრდ.-დას. ნაწილში, ჳიქეთში.

გ-ები სათავეში ედგნენ გეიის თემს. ანუ საბ-ბას, რ-ის ცენტრი იყო დაბა გეირიფში (მდებარეობდა მდ. ფსოუს შესართავთან). გეიის მფლობელები XVII ს-იდან იხსენიებიან ოსმალურ წყაროებში გეი-ბეგების სახელით. XIX ს. 30-იანი წწ. შუა ხანებში გ-ებში ყველაზე გავლენიანი იყო თავადი ედირბეი. გეიის უკანასკნელი მფლობელი, თავადი რაშიდ გ., რ-საც 70-მდე აზნაური და დაახლ. ამდენივე დასახლებული პუნქტი ემორჩილებოდა.

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ (1864) იმდროინდელი პოლიტიკიდან გამომდინარე, თურქეთში გადასახლდა. მას გაჰყვა საბ-ბა გეიის თითქმის მთელი მოსახლეობა. ს. ჳანაშიას ვარაუდით, გ-ების ერთი შტო დაახლ. X-XIII სს-ში ქართლში გადმოვიდა, ეთნიკურად გაქართველდა და საფუძველი დაუდო ქაიბაძეთა (ქაიბაიძეთა) ფეოდ. საგვარეულოს, მათგან წარმოდგებიან თავადი ბარათაშვილები.

**გ. ანიაბაძე**

---